



2010 წელი იუნესკომ კულტურათა დაახლოების წლად გამოაცხადა. ამ ფაქტთან დაკავშირებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურათაშორისი კომუნიკაციების განყოფილების მიერ დაიგეგმა არაერთი ღონისძიება, რომელიც იუნესკოს საერთო გეგმის შემადგენელი ნაწილი გახდა. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთადერთი სახელმწიფო უნივერსიტეტია საქართველოდან, რომელიც იუნესკოს ამ წამოწყებაში მონაწილეობს.

დაგეგმილ ღონისძიებებს შორისაა ელჩის საათი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის ელჩების მოწვევას და მათ მიერ სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის თავიანთი ქვეყნის კულტურის გაცნობას ითვალისწინებს. ამასთან დაკავშირებით, 19 მაისს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია აზერბაიჯანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, პროფესორი ნამიგ ალიევი, რომელიც შეხვდა უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ჯონი აფაქიმეს, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს.

ბატონმა ნამიგ ალიევმა ვრცლად ისაუბრა ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებზე, მათი განვითარების პერსპექტივებზე, როგორც ეკონომიკის, ისე კულტურისა და ხელოვნების თვალსაზრისით. დამსწრე საზოგადოებამ იხილა შემეცნებითი დოკუმენტური ფილმი აზერბაიჯანის შესახებ, რომელსაც კომენტირებას თვით ბატონი ელჩი უწევდა.

საპატიო სტუმარს მიესალმნენ: პროფესორი ზურაბ პაპასქირი, პროფესორი ოლღა პეტრიაშვილი, აფხაზეთის ა./რ. სულიერებისა და კულტურის ცენტრის დირექტორი სვეტლანა ქეცბა და სხვები.

დასასრულ, ბატონმა ნამიგ ალიევმა საინტერესოდ და ამომწურავად უპასუხა დარბაზიდან დასმულ შეკითხვებს.

შეხვედრას უძღვებოდა სსუ კულტურათაშორისი კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსი, ქალბატონი ინდირა მაგანია, რომელმაც მადლობა გადაუხადა სტუმარს მოზრძანებისათვის და წარმატებები უსურვა საქმიანობაში.